



შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

დამტკიცებულია:

„ ____ “ _____ 2021 წ.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

ჟურნალისტიკა (Journalism)

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: მაგისტრატურა (II საფეხური)

ფართო სფერო:	03 სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია Social Sciences, Journalism and Information
ვიწრო სფერო:	032 ჟურნალისტიკა და ინფორმაცია Journalism and Information
დეტალური სფერო:	0321 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა Journalism and Reporting
სწავლების ენა:	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ჟურნალისტიკის მაგისტრი Master of Journalism
სამაგისტრო პროგრამის მოცულობა:	120 ECTS კრედიტი
პროგრამის ხელმძღვანელი:	მაკა დოლიძე, ასოცირებული პროფესორი

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობა: სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს საერთო სამაგისტრო გამოცდების და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდების (სპეციალობასა და ინგლისურ ენაში (B2 დონე) შედეგების საფუძველზე, გარდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა. კონკურსანტი გათავისუფლდება ინგლისური ენის გამოცდიდან თუ წარმოადგენს შესაბამის სერთიფიკატს, რომელიც დაადასტურებს ენის ცოდნას B2 დონეზე.

ინფორმაციის საჭიროებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადები, წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა და სკოლის საბჭოს მიერ დამტკიცებული საგამოცდო საკითხები განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს შიდა და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში და შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი ჟურნალისტიკის მაგისტრი. გადასცეს ჟურნალისტიკის სფეროს დრმა და სისტემური ცოდნა. გამოუმუშავოს მედია პროდუქციის მომზადების, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების, შედეგების წარდგენის, ჟურნალისტური საქმიანობის სპეციფიკისა და არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და შეფასების საფუძველზე სწორი გადაწყვეტილების მიღების და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების, ასევე პროფესიული განვითარების დამოუკიდებლად წარმართვის, პასუხისმგებლობითა და მედია სტანდარტებით გათვალისწინებული, ეთიკური ნორმების დაცვით, პროფესიული საქმიანობის განხორციელების უნარი.

მიზნები შესაბამისია უნივერსიტეტის მისიის, მიზნების და სტრატეგიული გეგმის, საჯარო, ხელმისაწვდომი და გაზიარებულია პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული მხარეების მიერ.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება	<ol style="list-style-type: none"> 1. აყალიბებს ჟურნალისტიკის სპეციფიურ მეთოდებსა და საკითხებს. 2. სფეროს უახლესი მიღწევების კრიტიკული გააზრების საფუძველზე განაზოგადებს ჟურნალისტიკის თეორიისა და პრაქტიკის აქტუალურ საკითხებს.
უნარები	<ol style="list-style-type: none"> 3. ამზადებს მედია პროექტებს თანამედროვე გამოცდილებითა და ინდივიდუალური კრეატიული მიდგომით. 4. არჩევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავებისა და მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრის გზებს. 5. კრიტიკულად აანალიზებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების ასახვას მედიაში და უახლესი მეთოდების გამოყენებით დამოუკიდებლად ახორციელებს კვლევით საქმიანობას. 6. წარადგენს საზოგადოებაში არსებულ მნიშვნელოვან საკითხებს/კვლევის შედეგებს პროფესიული და აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვით.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	<ol style="list-style-type: none"> 7. დამოუკიდებლად წარმართავს ცოდნის, დარგობრივი კომპეტენციებისა და კვლევის მეთოდების მუდმივი განახლება-სრულყოფისათვის აუცილებელ პროცესებს. 8. პასუხისმგებლობას იღებს სასწავლო და სამუშაო გარემოში საქმიანობის წარმართვისას და შეაქვს წვლილი ჟურნალისტიკისთვის საჭირო პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების და შედეგების შედარება

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები	საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები	შენიშვნა
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს შიდა და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში და შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი ჟურნალისტიკის მაგისტრი.	<ol style="list-style-type: none"> 1. აყალიბებს ჟურნალისტიკის სპეციფიურ მეთოდებსა და საკითხებს. 2. სფეროს უახლესი მიღწევების კრიტიკული გააზრების საფუძველზე განაზოგადებს ჟურნალისტიკის თეორიისა და პრაქტიკის აქტუალურ საკითხებს. 	

გადასცეს ჟურნალისტიკის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა.		
გამოუმუშავოს მედია პროდუქციის მომზადების, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების, შედეგების წარდგენის, ჟურნალისტური საქმიანობის სპეციფიკისა და არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და შეფასების საფუძველზე სწორი გადაწყვეტილების მიღების და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი.	<p>3. ამზადებს მედია პროექტებს თანამედროვე გამოცდილებითა და ინდივიდუალური კრეატიული მიდგომით.</p> <p>4. არჩევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავებისა და მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრის გზებს.</p> <p>5. კრიტიკულად აანალიზებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების ასახვას მედიაში და უახლესი მეთოდების გამოყენებით დამოუკიდებლად ახორციელებს კვლევით საქმიანობას.</p> <p>6. წარადგენს საზოგადოებაში არსებულ მნიშვნელოვან საკითხებს/კვლევის შედეგებს პროფესიული და აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვით.</p>	
გამოუმუშავოს ასევე პროფესიული განვითარების დამოუკიდებლად წარმართვის, პასუხისმგებლობითა და მედია სტანდარტებით გათვალისწინებული, ეთიკური ნორმების დაცვით, პროფესიული საქმიანობის განხორციელების უნარი.	<p>7. დამოუკიდებლად წარმართავს ცოდნის, დარგობრივი კომპეტენციებისა და კვლევის მეთოდების მუდმივი განახლება-სრულყოფისათვის აუცილებელ პროცესებს.</p> <p>8. პასუხისმგებლობას იღებს სასწავლო და სამუშაო გარემოში საქმიანობის წარმართვისას და შეაქვს წვლილი ჟურნალისტიკისთვის საჭირო პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში.</p>	

სამაგისტრო პროგრამის მოცულობა კრედიტებით

სამაგისტრო პროგრამა აგებულია ECTS კრედიტების საფუძველზე. პროგრამის ხანგრძლივობა არის 2 აკადემიური წელი, ანუ 4 სემესტრი. პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს (1 კრედიტი = 25 საათი; 120 კრედიტი = 3000 სთ.). ერთი აკადემიური წელი მოიცავს 60 კრედიტს. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმიდან გამომდინარე, სასწავლო წლიური დატვირთვა შესაძლებელია იყოს 60 კრედიტზე ნაკლები, ან აღემატებოდეს 60 კრედიტს, მაგრამ არა უმეტეს წელიწადში 75 კრედიტისა.

სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მაგისტრანტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს და მოიცავს: სასწავლო კურსებს, პრაქტიკას და სამაგისტრო ნაშრომს სპეციალობაში (მომზადება და დაცვა).

პროგრამის სტრუქტურა

ჟურნალისტიკის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის ცოდნის გადაცემა, შესაბამისი უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის გამომუშავება ხდება პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და

კვლევითი კომპონენტების სინთეზის საფუძველზე. სასწავლო კომპონენტი (90 კრედიტი) აერთიანებს: ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებს (60 კრედიტი), პრაქტიკულ კომპონენტს (პრაქტიკას, 10 კრედიტი) და ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსებს (20 კრედიტი).

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკულ კომპონენტს (10 კრედიტი) - პრაქტიკას სტუდენტი გადის უნივერსიტეტის ავტორიზებულ ტელევიზიაში (სდასუ -TV) და პარტნიორ დაწესებულებებში. სპეციალობით დასაქმებულმა სტუდენტმა პრაქტიკის ნაცვლად 10 კრედიტი უნდა დააგროვოს არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო - კვლევით კომპონენტში მოიაზრება სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა (30 კრედიტი).

„ჟურნალისტიკის“ სამაგისტრო პროგრამა - 120 კრედიტი:

სავალდებულო კომპონენტები - 100 კრედიტი

- სავალდებულო სასწავლო კურსები - 60 კრედიტი

პრაქტიკული კომპონენტი

- პრაქტიკა - 10 კრედიტი

კვლევითი კომპონენტი

- სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი

არჩევითი კომპონენტები

- არჩევითი სასწავლო კურსები - 20 კრედიტი

სწავლება-სწავლის მეთოდები

სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით, რომლებიც შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მქონე სპეციალისტის მომზადებას.

სწავლების პროცესში გამოიყენება სწავლება-სწავლის შემდეგი მეთოდები: ინტერაქტიური ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, რომლებიც თავის მხრივ მოიცავენ შემდეგ აქტივობებს: ახსნა-განმარტებას, ზეპირსიტყვიერს, შემთხვევის შესწავლას (Case Study), ჯგუფში (Collaborative) მუშაობას, დისკუსია/დებატებს, გონებრივ იერიშს (Brain storming), ანალიზს, სინთეზს, წერით მუშაობას, პრაქტიკულ მუშაობას, დემონსტრირებას, პრობლემასა და კვლევაზე დაფუძნებულ სწავლებას და სხვ.

კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, სწავლების პროცესში გამოიყენება როგორც კონკრეტული მეთოდები, ისე მეთოდების კომბინირება. რის შედეგადაც სწავლების პროცესი ხდება უფრო მრავალფეროვანი, ხოლო მაგისტრის საქმიანობა - უფრო აქტიური. სწავლება - სწავლის მეთოდების შერჩევა-გამოყენება მიმართულია სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიური მონაწილეობის სტიმულირებაზე, სტუდენტთა ინტერესებისა და მოთხოვნილებების მაქსიმალურად გათვალისწინებაზე, სტუდენტის მიერ არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევაზე.

მაგისტრანტის ცოდნის შეფასების სისტემა

სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი (max 100 ქულა) სისტემით. სასწავლო კომპონენტის შეფასება მოიცავს ორ ფორმას - შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 25 ქულა. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი კი, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50 %. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით.

სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს.

შეფასების ფორმები, კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია მაგისტრანტებისთვის.

პრაქტიკა: აღნიშნული სასწავლო კომპონენტის შეფასება ხდება პრაქტიკის ხელმძღვანელისა და მენტორის დახასიათებით გათვალისწინებით მაგისტრანტის მიერ მომზადებული და დაცვის მიზნით კომისიის წინაშე წარმოდგენილი პრაქტიკის ანგარიშის საფუძველზე. პრაქტიკის ანგარიშის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით კანონმდებლობით დადგენილი მაგისტრანტთა/სტუდენტთა მიღწევათა შეფასების სისტემის შესაბამისად. მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას, დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა. პრაქტიკის ანგარიშის შეფასება მრავალჯერადი და მრავალკომპონენტიანია. ანგარიში ფასდება უშუალოდ პრაქტიკის ხელმძღვანელის/მენტორის (მინ. 21 ქულა- მაქს. 60 ქულა) და დაცვის კომისიის მიერ (მინ. 20 ქულა-მაქს. 40 ქულა). პრაქტიკის ხელმძღვანელის/მენტორის მიერ პრაქტიკის ანგარიშის შეფასების და კომისიის მიერ პრაქტიკის ანგარიშის პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები და ქულათა გრადაცია მოცემულია პრაქტიკის სილაბუსში და ხელმისაწვდომია მაგისტრანტებისათვის.

კვლევითი კომპონენტი-სამაგისტრო ნაშრომი: სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით) იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას მაქს. 100 ქულით. შეფასების წესი, კომპონენტები, კრიტერიუმები და ქულათა გრადაცია მოცემულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის დებულებაში და ხელმისაწვდომია მაგისტრანტებისათვის.

მაგისტრანტთა მიღწევათა/ცოდნის შეფასების სისტემა

- შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
 - (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
 - (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
 - (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
 - (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
 - (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
- ორი სახის უარყოფით შეფასებას:
 - (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
 - (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
- სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ნიშანი F (ჩაიჭრა) მიღების შემთხვევაში სტუდენტი ხელმეორედ შეისწავლის სასწავლო კურსს და ჩააბარებს გამოცდას. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება სამაგისტრო ნაშრომის მიმართ.
- სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადაამუშავებელი სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო F-ის მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე ნაშრომის წარდგენის უფლებას.

დასაქმების სფერო

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს: თანამედროვე მასკომუნიკაციის საშუალებებში (პრესა, რადიო-ტელევიზია, ინტერნეტკომუნიკაცია), საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებში, პრესცენტრებში, საინფორმაციო სააგენტოებში, არასამთავრობო და საჯარო სტრუქტურებში.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

”ჟურნალისტიკის” სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს - ჟურნალისტიკის მაგისტრს - სწავლის გაგრძელება შეუძლია უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე დოქტორანტურაში კანონდებლობით დადგენილი წესით.

სამაგისტრო პროგრამის განხორციელების მატერიალური რესურსი

სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და საინფორმაციო - ტექნოლოგიური რესურსით, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და შედეგების მიღწევას. კერძოდ: სდასუ-ს ავტორიზებული ტელევიზია (სდასუ - TV), ხმის ჩამწერი სტუდია, პრესკლუბი, საბიბლიოთეკო რესურსი, სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები, კომპიუტერული ცენტრები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო ოთახები და სხვ.

ბიბლიოთეკაში განთავსებულია სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული). ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდი განახლებადია დარგში მიმდინარე განვითარებების კვალდაკვალ და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლის შედეგების მიღწევასა და სამეცნიერო - კვლევით საქმიანობის განხორციელებას; მაგისტრანტებისათვის და პერსონალისთვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები. კერძოდ: ELSEVIER (Scopus; Science Direct; Scival Funding (Funding Institutional), Cambridge Journals Online (<https://www.cambridge.org/core>); eDuke Journals Scholarly Collection (<https://www.dukeupress.edu/>); Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books (<https://www.elgaronline.com/page/70/journals>); IMF eLibrary (<http://www.elibrary.imf.org/?redirect=true>); Royal Society Journals Collection (<https://royalsociety.org/journals/>); SAGE Premier (<http://journals.sagepub.com/>).

პრაქტიკას მაგისტრანტები გადიან უახლესი ტექნიკითა და აპარატურით აღჭურვილ სდასუ-ს ავტორიზებულ ტელევიზიასა (სდასუ - TV) და სხვადასხვა მედიაორგანიზაციების ბაზაზე და იყენებენ იქ არსებულ მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს.

სამაგისტრო პროგრამის განხორციელების ადამიანური რესურსი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური კადრებით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელთაც აქვთ სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი სათანადო კომპეტენცია - დოქტორის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური და პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება.

სამაგისტრო პროგრამის განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფა

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამაგისტრო პროგრამის მხარდაჭერა. სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ანაზღაურების, წიგნადი ფონდის და სასწავლო მასალის განახლების, სამეცნიერო კვლევების დაფინანსების (მათ შორის შიდა გრანტი, კონფერენციები და სხვ.), სტუდენტთა ინიციატივების დაფინანსების და სხვა აქტივობების ხარჯები. სამაგისტრო პროგრამისათვის სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.

შენიშვნა:

„ჟურნალისტიკის“ სამაგისტრო პროგრამას დამატებითი ინფორმაცია ერთვის დანართის სახით და წარმოადგენს პროგრამის განუყოფელ ნაწილს.

„ჟურნალისტიკის“ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები: _____

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური: _____

”ჟურნალისტიკის” სამაგისტრო პროგრამის დანართები

დანართი 1

”ჟურნალისტიკის” სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმა
სამაგისტრო პროგრამის კომპონენტები კრედიტებისა და სასწავლო სემესტრების მიითებით

N	დასახელება	წინაპირობა	კრედიტები	საათები	საათების განაწილება					სასწავლო სემესტრები			
					საკონტაქტო საათები					I	II	III	IV
					ლექცია	ჯგუფში მუშაობა/ შუალედური გამოცდები	საბოლოო გამოცდა	სულ საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი მუშაობის საათები				
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
• 1. სავალდებულო კომპონენტები										100 კრედიტი		მათ შორის:	
სავალდებულო სასწავლო კურსები -										60 კრედიტი			
1.1	ტელე-რადიო კომუნიკაციის თეორია და პრაქტიკა	-	5	125	15	30	2	47	78	X			
1.2	ჟურნალისტიკის თეორიები და კონცეფციები	-	5	125	15	30	2	47	78	X			
1.3	საინფორმაციო - ჰიბრიდული ომი და მედია	-	5	125	16	29	2	47	78	X			
1.4	მასმედიის ენა	-	5	125	16	27	2	47	78	X			
1.5	მედიის თანამედროვე ტრენდები	-	5	125	15	30	2	47	78	X			
1.6	ინტერნეტი და მობილური ჟურნალისტიკა	1.1	5	125	15	30	2	47	78		X		
1.7	ტელეპროდიუსერი ნგი	1.1	5	125	15	30	2	47	78		X		
1.8	გლობალიზაცია და საინფორმაციო საშუალებები	-	5	125	15	15	2	32	93		X		
1.9	მედიის კვლევის მეთოდები	-	5	125	15	30	2	47	78		X		
1.10	მედიის პროფესიული სტანდარტები და თვითრეგულირების მექანიზმები	-	5	125	30	15	2	47	78		X		

1.11	მედია და გამობატვის თვისუფლება	-	5	125	15	30	2	47	78			X	
1.12	საქმიანი ჟურნალისტიკა	-	5	125	16	29	2	47	78			X	
პრაქტიკული კომპონენტი -										10 კრედიტი			
1.13	პრაქტიკა	1-10	10	250	-	-	-	158	92			X	
კვლევითი კომპონენტი -										30 კრედიტი			
1.14	სამაგისტრო ნაშრომი	1-13	30	750	-	-	-	30	720				X
• 2. არჩევითი კომპონენტები -										20 კრედიტი			
არჩევითი სასწავლო კურსები :													
2.1	საქმიანი კომუნიკაციები ინგლისურ ენაზე	-	5	125	15	30	2	47	78	5 კრ.	5 კრ.	10 კრ.	
2.2	აკადემიური წერა მაგისტრანტებისათვის	-	5	125	15	30	2	47	78				
2.3	ქართული პუბლიცისტიკა (XIX საუკუნე)	-	5	125	15	15	2	32	93				
2.4	მედიის ფილოსოფია	-	5	125	15	15	2	32	93				
2.5	მედია და საზოგადოება	-	5	125	14	16	2	32	93				
2.6	ქართული პუბლიცისტიკა (XX საუკუნე)	2.3	5	125	14	16	2	32	93				
2.7	პუბლიცისტური ჟანრები თანამედროვე და ტრადიციული თვალთახედვით	-	5	125	15	30	2	47	78				
2.8	ინგლისური ენა (დარგობრივი)	-	5	125	15	45	2	62	63				
2.9	მედიის სოციოლოგია	-	5	125	15	15	2	32	93				

***შენიშვნა:** 1) სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე მაგისტრანტის დაშვების სავალდებულო პირობაა დაცვის მომენტისთვის 90 კრედიტის (მათ შორის სავალდებულო სასწავლო კურსებში და პრაქტიკულ კომპონენტში) მოპოვება, მეცნიერ ხელმძღვანელის და ანტიპლაგიატის დადებითი დასკვნები.

ჟურნალისტიკის სამაგისტრო პროგრამის აკადემიური/მოწვეული პერსონალი

სახელი, გვარი	სტატუსი	აფილირების შესახებ	სასწავლო კურსები
გიგლა გობეჩია	პროფესორი		საინფორმაციო - ჰიბრიდული ომი და მედია; ინტერნეტი და მობილური ჟურნალისტიკა; საქმიანი ჟურნალისტიკა.
მაკა დოლიძე	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული	ჟურნალისტიკის თეორიები და კონცეფციები; ქართული პუბლიცისტიკა (XIX საუკუნე); პუბლიცისტური ჟანრები თანამედროვე და ტრადიციული თვალთახედვით.
თინათინ ზალდასტანიშვილი	ასოცირებული პროფესორი		მედიის კვლევის მეთოდები; მედიის ფილოსოფია; მედიის სოციოლოგია.
ნარგიზა კანკია	ასოცირებული პროფესორი		ტელე-რადიო კომუნიკაციის თეორია და პრაქტიკა
თეა ლათიფაშვილი	ასოცირებული პროფესორი		მედია და გამოხატვის თვისუფლება; მედიის პროფესიული სტანდარტები და თვითრეგულირების მექანიზმები
მარინე ლომიძე	ასოცირებული პროფესორი		მასმედიის ენა; მედია და საზოგადოება; ქართული პუბლიცისტიკა (XX საუკუნე); ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები
ხატია შევარდნაძე	ასოცირებული პროფესორი		აკადემიური წერა მაგისტრანტებისათვის
ხათუნა ჩარკვიანი	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული	გლობალიზაცია და საინფორმაციო საშუალებები
მაია თუნგია	ასისტენტ პროფესორი	აფილირებული	მედიის თანამედროვე ტრენდები
მარინე გერმანიშვილი	მოწვეული პერსონალი		ტელეპროდიუსერინგი
თამარ ხეცურიანი	მოწვეული პერსონალი		საქმიანი კომუნიკაციები ინგლისურ ენაზე; ინგლისური ენა (დარგობრივი).

კურიკულუმის რუკა

N	სასწავლო კურსები	სწავლის შედეგები							
		შედ. 1	შედ. 2	შედ. 3	შედ. 4	შედ. 5	შედ. 6	შედ. 7	შედ. 8
1	ტელე-რადიო კომუნიკაციის თეორია და პრაქტიკა	1,2	1,2		1,2	1	1,2		
2	ჟურნალისტიკის თეორიები და კონცეფციები	1,2	1				1,2		
3	საინფორმაციო - ჰიბრიდული ომი და მედია	1,2	1,2			1,2	1,2	1,2	
4	მასმედიის ენა	1	1				1,2	1,2	
5	მედიის თანამედროვე ტრენდები	1,2	1,2			1,2	1,2		
6	ინტერნეტი და მობილური ჟურნალისტიკა	1,2	1,2	1,2		1	1,2		
7	ტელეპროდიუსერინგი	2,3	2,3	2,3	2,3		2,3		
8	გლობალიზაცია და საინფორმაციო საშუალებები	1,2					1,2		
9	მედიის კვლევის მეთოდები		1,2			2,3	2,3	2,3	
10	მედია და გამოხატვის თვისუფლება	1	1				1,2	1,2	
11	მედიის პროფესიული სტანდარტები და თვითრეგულირების მექანიზმები	1,2	1,2			1,2	1,2	1,2	
12	საქმიანი ჟურნალისტიკა	1,2	1,2	2,3	2,3		2,3	1,2	
13	პრაქტიკა			3	3	3	3	3	1,2,3
14	სამაგისტრო ნაშრომი სპეციალობაში	3	3	3	3	3	3	3	3

შედეგი 1. აყალიბებს ჟურნალისტიკის სპეციფიურ მეთოდებსა და საკითხებს.

შედეგი 2. სფეროს უახლესი მიღწევების კრიტიკული გააზრების საფუძველზე განაზოგადებს ჟურნალისტიკის თეორიისა და პრაქტიკის აქტუალურ საკითხებს.

შედეგი 3. ამზადებს მედია პროექტებს თანამედროვე გამოცდილებითა და ინდივიდუალური კრეატიული მიდგომით.

შედეგი 4. არჩევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავებისა და მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრის გზებს.

შედეგი 5. კრიტიკულად აანალიზებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების ასახვას მედიაში და უახლესი მეთოდების გამოყენებით დამოუკიდებლად ახორციელებს კვლევით საქმიანობას.

შედეგი 6. წარადგენს საზოგადოებაში არსებულ მნიშვნელოვან საკითხებს/კვლევის შედეგებს პროფესიული და აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვით.

შედეგი 7. დამოუკიდებლად წარმართავს ცოდნის, დარგობრივი კომპეტენციებისა და კვლევის მეთოდების მუდმივი განახლება-სრულყოფისათვის აუცილებელ პროცესებს.

შედეგი 8. პასუხისმგებლობას იღებს სასწავლო და სამუშაო გარემოში საქმიანობის წარმართვისას და შეაქვს წვლილი ჟურნალისტიკისთვის საჭირო პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში.

შენიშვნა: დანართ 3-ში შედეგისა და სასწავლო კურსების სვეტის გადაკვეთაში ჩაწერილი რიცხვები ნიშნავს თუ როგორ ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი შესაბამის სწავლის შედეგს. კერძოდ: 1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება და 3- განმტკიცება.

სამიზნე ნიშნულები

N	სწავლის შედეგი	სამიზნე ნიშნული
1.	აყალიბებს ჟურნალისტიკის სპეციფიურ მეთოდებსა და საკითხებს.	სტუდენტთა 40% - 7-8 ქულა (10 ქულიდან)
2.	სფეროს უახლესი მიღწევების კრიტიკული გააზრების საფუძველზე განაზოგადებს ჟურნალისტიკის თეორიისა და პრაქტიკის აქტუალურ საკითხებს.	სტუდენტთა 40% - 7-8 ქულა (10 ქულიდან)
3.	ამზადებს მედია პროექტებს თანამედროვე გამოცდილებითა და ინდივიდუალური კრეატიული მიდგომით.	სტუდენტთა 40% - 16-18 ქულა (20 ქულიდან)
4.	არჩევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავებისა და მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრის გზებს.	სტუდენტთა 40% - 7-8 ქულა (10 ქულიდან)
5.	კრიტიკულად აანალიზებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების ასახვას მედიაში და უახლესი მეთოდების გამოყენებით დამოუკიდებლად ახორციელებს კვლევით საქმიანობას.	სტუდენტთა 40% - 7-8 ქულა (10 ქულიდან)
6.	წარადგენს საზოგადოებაში არსებულ მნიშვნელოვან საკითხებს/კვლევის შედეგებს პროფესიული და აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვით.	სტუდენტთა 50% - 20-22 ქულა (25 ქულიდან)
7.	დამოუკიდებლად წარმართავს ცოდნის, დარგობრივი კომპეტენციებისა და კვლევის მეთოდების მუდმივი განახლება-სრულყოფისათვის აუცილებელ პროცესებს.	სტუდენტთა 40 % - 20-22 ქულა (25 ქულიდან)
8.	პასუხისმგებლობას იღებს სასწავლო და სამუშაო გარემოში საქმიანობის წარმართვისას და შეაქვს წვლილი ჟურნალისტიკისთვის საჭირო პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში.	სტუდენტთა 40% - 18-30 ქულა (35 ქულიდან)